

კავშირი რელიგიურობასა და დიდი ხუთეულის
პიროვნულ ნიშნებს შორის

თამარი შავაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაცაშვილი, ასისტენტ-
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი,
ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ
ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე
გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად
წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის
მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების
შესაბამისად.*

თამარი შავაძე

10 ივლისი 2020 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა რელიგიურობასა და დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშნებს შორის კორელაციური კავშირების შესწავლა. რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებასა და დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშნებს შორის კავშირის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები არაერთგვაროვანია. ნაწილი კვლევებისა გვიჩვენებს, რომ რწმენის სიძლიერე უარყოფით კორელაციაშია ნეიროტიციზმთან, ხოლო დანარჩენ ოთხ ნიშანთან დადებითად კორელირებს. მეორე მხრივ, გარკვეულ კვლევათა შედეგები ცხადყოფს, რომ დიდი ხუთეულის ერთ-ერთი ნიშანი, კერძოდ კი გამოცდილებისადმი ღიაობა უარყოფითად უკავშირდება რელიგიურ ფუნდამენტალიზმს. ასევე, კვლევათა შედეგები იმასაც აჩვენებს, რომ გარეგანი რელიგიურობა მაღალ ნეიროტიციზმთან არის ასოცირებული. 108 რესპოდენტთან ჩატარებულმა წინამდებარე კვლევაში დიდი ხუთეულის ფაქტორებთან ერთად შესწავლილ იქნა როგორც ზოგადი რელიგიურობის დონე, ისე რელიგიურობის ოთხი განზომილება: რელიგიური პრაქტიკა, რელიგიური შედეგები, რელიგიური პარტიკულარიზმი და რელიგიური გამოცდილება. კვლევის შედეგების თანახმად, დიდი ხუთეულის მხოლოდ ერთ პიროვნულ ნიშანს – ექსტრავერსიას დაუკავშირდა დადებითად რელიგიურობის მხოლოდ ერთი

განზომილება – გამოცდილება, რომელიც რელიგიურობის უფრო შინაგან, პირად, სულიერ ასპექტს წარმოადგენს, განსხვავებით დანარჩენი სამი განზომილებისგან, რომლებიც რელიგიურობის უფრო სოციალურ-რიტუალურ მხარეს ასახავს.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: რელიგიურობა, რელიგიურობის განზომილებები, შინაგანი რელიგიურობა, გარეგანი რელიგიურობა, დიდი ხუთეული

Abstract

The aim of this study was to investigate the correlation between religiosity and personality traits of the Big Five. The results of studies on the relationship between different dimensions of religiosity and the personal traits of the Big Five are mixed. Some research shows that strong religiosity negatively correlated with neuroticism, contrasting with other four personality factors. On the other hand, in other empirical studies show that one of the Big five factors, concretely openness to experience negatively correlated with religion fundamentalism. One study found that, extrinsic religiosity associated with high neuroticism. In current research participated 108 person and was examined Big five factors, religiosity level, and four dimensions of religiosity: religious practice, religious outcomes, religious particularism, religious experience. Under research results, there is significant correlation between only one personality factor – extraversion and with one dimension of religiosity – experience, which one is more internal, personal and spiritual aspect, conversely from other three dimensions, which more represents social-ritual aspect of religiosity.

Keywords: religiosity, different dimensions of religiosity, intrinsic religiosity, extrinsic religiosity, Big five